

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 30 მარტს გამოიცა №34 განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული განკარგულების დანართი 2-ში (უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა) მე-14, 22-ე, 23-ე, 37-ე, 38-ე, 42-ე, 48-ე და 57-ე პუნქტებით ფიქსირებული მიწის ნაკვეთების განკარგვისას აუქციონის ფორმად განისაზღვრა პირობებიანი (გათვალისწინებული იყო შეზღუდვები - დარეგისტრირებული კონფიგურაციით (არსებული საზღვრებით, ფართობით), ასევე მიწის გაყოფისას შემცირებულ ფართობზე, მშენებლობის უფლების გარეშე. მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ აუქციონზე შეძენილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (ნაკვეთებთან) გაერთიანების შემთხვევაში). სახელმწიფო აუდიტის შეფასებით მიწის ნაკვეთები ზემოაღნიშნული პირობით არ უნდა განიკარგოს. შესაბამისად, საჭიროა შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2018 წლის 30 მარტს #34 განკარგულებაში და განკარგულების დანართი N2-ის მე-14, 22-ე, 23-ე, 37-ე, 38-ე, 42-ე, 48-ე და 57-ე პოზიციები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე იგეგმება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 მიწის ნაკვეთის პრივატიზება. შესაბამისად უნდა მოხდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხაში (დანართი 1) და უძრავი ქონების პრივატიზების გეგმაში (დანართი 2) 63-65 პუნქტების დამატება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტს №34 განკარგულების დანართ 2-ში (უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა) ცვლილების განხორციელება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი



დავით კოპინაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

-- აგვისტო 2019 წელი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეატანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ დანართი 1-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 63-65 პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)
63	ქ. ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. №15	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.24.08.156	68,00	—
64	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №44	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.02.152	95,00	—
65	ქ. ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. №6-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.07.011	210,00	—

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი 2-ის მე-14, 22-ე, 23-ე, 37-ე, 38-ე, 42-ე, 48-ე და 57-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
14	ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ. №18	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.26.01.068	189,00	—	37 500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში

22	ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. №49	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.23.16.042	56,00	—	21 600	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
23	ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. №49	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.23.16.041	6,00	—	2 300	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
37	ქ. ბათუმი, დასახლება მახვიალურის მეურნეობა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.29.019	508,00	—	43 000	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
38	ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №13ა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.25.05.217	102,00	—	27 650	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
42	ქ. ბათუმი, დასახლება ადლია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.15.146	371,00	—	51 460	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
48	ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.23.975	18,00	—	1 985	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
57	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №147-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.16.053	173,00	—	39 700	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში

გ) განკარგულებით დამტკიცებულ დანართი 2-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის 63-65 პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
63	ქ. ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. №15	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.24.08.156	68,00	—	40 800	პირობიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
64	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №44	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.02.152	95,00	—	4 750	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
65	ქ. ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. №6-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.07.011	210,00	—	73 500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავჯდომარე

სულიკო თებიძე